ჩემპიონატი

სტალინგრადის "ტრაქტორი" – თბილისის "დინამო"
(სტალინგრადი, 27 ოქტომბერი, ჩვენი სპეც. კორ.)

ეს მატჩი თავიდანვე ნორმალურ ატმოსფეროში არ დაიწყო. სსრკ სახკომის საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მიერ დანიშნული მსაჯი არ გამოცხადდა. მატჩს სჯიდა სტალინგრადელი.

თბილისის "დინამო" მოედანზე რამდენადმე შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდა. მარცხენა ნახევარმცველ ჭელიძის ნაცვლად თამაშობდა ჯორბენაძე, ხოლო თავდამსხმელის ჩერედნიჩენკოს ადგილას – ჯორჯიკია.

მოედანი სველია. სცრის ნელი წვიმა. თამაშს იწყებს "დინამო". პირველი წუთებიდანვე ბურთი **"ტრაქტორის"** საჯარიმო მოედანს არ შორდება. მისმა მცველებმა არაერთხელ იხსნეს თავიანთი კარი განსაცდელისაგან. ჩვენი გუნდის თავდამსხმელთა ხუთეული უფრო ახლოს მიიჭრა, იყო ბურთის გატანის შესაძლებლობაც, მაგრამ ამაოდ. ამ მომენტში "ტრაქტორი" უმთავრესად ე. წ. პარტიზანული შეტევით კმაყოფილდებოდა.

პირველი ტაიმის თითქმის 24 წუთი უშედეგოთ გავიდა. 25-ე წუთზე თბილისელებმა გაითამაშეს მშვენიერი კომბინაცია. ბურთი პანიუკოვს მიაქვს. იგი ატყუებს რამდენიმე მოწინააღმდეგეს და აწვდის ბერეჟნოის. ეს უკანასკნელი კი – პაიჭაძეს. ძლიერი დარტყმა, ბურთი ბადეში ეხვევა. 1:0 – თბილისელთა სასარგებლოდ – ასეთია პირველი ტაიმის 25-წუთიანი "ბრძოლის" შედეგი.

"დინამო" უფრო აძლიერებს ტემპს. პანიუკოვს შეეძლო ანგარიში კიდევ ერთი გოლით გაეზარდა. "ტრაქტორის" მცველი განსაკუთრებული მოხერხებით ართმევს ბურთს.

პირველი ტაიმის დასასრულს "ტრაქტორის" თავდამსხმელებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნეს "დინამოს" კარს. პეხლივანიდმა ოსტატურად მოიგერია ერთ–ერთი რთული მომენტი…

იწყება მეორე ტაიმი. თავდასხმაზეა "ტრაქტორი". მეხუთე წუთზე პონომარევმა მიიღო მარცხენა შუამარბისაგან ბურთი და გაათანაბრა ანგარიში.

თამაში იღებს მწვავე ხასიათს. ორივე გუნდის მეკარეებს ახლა უკვე აქვთ მუდმივი სამუშაო. თუმცა 25 წუთამდის ვერცერთი გუნდი ვერ ახერხებს ანგარიშის შეცვლას.

30-ე წუთზე ბურთი აუტშია. "ტრაქტორის" თავდამსხმელს ეს ბურთი შემოაქვს თბილისის საჯარიმო მოედანზე და ურტყამს მას კარში. მსაჯი უშვებს შეცდომას. იგი კანონიერად თვლის "ტრაქტორის" მიერ არასწორად გატანილ ამ მეორე გოლს.

"დინამოელები" გადადიან თავბრუდამხვევ შეტევაზე. ცდილობენ როგორმე დაიბრუნონ ერთი ქულა მაინც. წუთები გარბიან. ტაიმი მთავრდება.

მსაჯი თამაშს სჯიდა ცუდად, აშკარად არაობიექტურად. თბილისის "დინამოელებმა" მატჩი გაასაჩივრეს.

მ. მინაევი.
„ახალგაზრდა კომუნისტი", 29 ოქტომბერი, 1940 წ.